სახალხო გაზეთი

№ 777 სამშაბათი, 18 ქრისტეშობისთვე 1912 წ. № 777

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

ფელიეტონი მეოთხე

„სახალხო გაზეთზე"

ფელიეტონი მეოთხე

უოველდღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

„სურათებიანი დამატება"

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორ წიგნს**

1) **უცხოეთის მწერლები.** (400 გვ.) 2) **ქართველი მწერლები.** (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წლიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . . . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავადაზნაურთა ქარვასლა.

3) ფოსტით. Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети". поч. ящ. 190.

მეუღლე **ნატალია ათანასეს ასული**, დედა **მატრონა**, ძმები: **ალექსანდრე და გრიგოლი, დაი ეშხანი, ბიძაშვილი ვასილი** მეუღლითურთ **გეგეჭკორები**, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა

სვიმონ ივანეს ძე გეგეჭკორი.

დასაფლავება დანიშნულია 18 ქრისტეშობისთვეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 9 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან წმ. ნინოს ეკლესიაში. 875

სოფიო გიორგის ასული შვილებით დიმიტრი და ნინო როსტომაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას საყვარელ სიძის

თ-დ იური მიხეილის ძე ჭავჭავაძისას

1642.

თ-დი იური მიხეილის ძე ჭავჭავაძე

ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა 13 ქრისტეშობისთვეს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი კნ. ელენე ივანეს ასული, ძმა ნიკოლოზ მიხეილის ძე და დაი ელენე მიხეილის ასული სუხოდოლსკისა.** 1641.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, 1912 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვალ. ლევ. გუნიას საბენეფისოდ

შექსპირის ტრაგედია

მეფე ლირი

5 მოქ. და 10 სურათ. თარგმანი თ-დ ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა.
ლირის როლს შეასრულებს მობენეფისე.
ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.
მონაწილეობს მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ადგილების ფასი საბენეფისო. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**
ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1623.

რუსეთის საურთიერთო დამზღვევი კავშირი

დამტკიცებულია 1903 წელს—**მექარხნეთა და მეზავოდეთა.**

სრულიად გარდახდილი საპაიო თანხა 3 მილიონი მანათი.

დამზღვევი კავშირი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში აწარმოებს:

1. **ცეცხლისაგან დაზღვევას** ქარხნებისა, ზავოდებისა, საბინადრო და სხვა შენობებისა, საქონლისა და მოძრავ ქონებისას.

2. **კოლექტიური დაზღვევა** უბედურ შემთხვევათაგან ქარხანა-სამრეწველოებში მოსამსახურე პირთა და მუშებისა.

3. **ყოველნაირ ცეცხლისაგან უზრუნველყოფილ შენობებისა და მოწყობილობის აგებას.**

პირველ მოთხოვნილებასათანავე ვგზავნით: წესდებას, დაზღვევის პირობებს და დაზღვეულთა სიას.

კავშირის გამგეობა იმყოფება:

მოსკოვში, ფურკასოვსკის მისახვევი, სახლი კეპენისა.

კავშირის განყოფილება კავკასიაში:

ბათუმისა, დაღესტნისა, ყარსისა, ყუბანისა და თერგის ოლქებში, განჯისა, ქუთაისისა, სტავროპოლისა, ჩერნომორისა, ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებისა და სოხუმის ოლქისათვის იმყოფება ქ. ტფილისში, სერგიევის ქუჩა სახლი № 1, მირზოევისა.

კავშირის კავკასიურ განყოფილების
1647 წარმომადგენელი **ა. ნ. მილოვი.**

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.
პარასკევს, ოც-და-ერთ დეკემბერს,
პირველი ლექცია 1 სახ. სათათბ. თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფ პეტერ. ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის **პროფესორ**

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკულისა:

„ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში".
დას. წყ. საღ. 8 ს.

შაბათს, 22 ქრისტეშ., **გრედესკული ქუთაისში** (ქალაქის თეატრში), წაიკითხავს ამავე ლექციას. კვირას, 23 ქრისტ., **გრედესკულის უკანასკნელი ლექცია ტფილისში: „ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში".** ბილეთ. იყიდება არტ. საზ. კლუბის შვეიცართან (შესავალი გოლ. პროსპ.-დან, ქისკარიდან), დილ. 10—2 ს. საღ. 5—8 ს. 1645



?

1531

ბათუმში გახსნილია განყოფილება

კახელ მევენახეთა

საზოგადოება

„კახეთი"-სა

1912 წლის 12 ნოემბრიდან.

საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა აუწყებს ამას ბბ. მყიდველებს ქ. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, თეოდოსიაში, გაგრაში, ქობულეთში და სხვა, შავი ზღვის პირზე გაშენებულ ქალაქებსა და დაბებში, და სთხოვს მათ ღვინის დასაკვეთად მიჰმართონ

ბათუმის განყოფილებას.

იყიდება მხოლოდ ნამდვილი კახური ღვინო საზოგადოების წევრთა ვენახებისა.

ბოთლი 30 კაპეიკიდან 1 მანეთამდე.

მუდმივ და ერთბაშად მყიდველებს იაფად უთმობენ. პრეისკურანტები უსასყიდლოდ.

მისამართი: ბათუმი, ოგლობლინის ქუჩა № 18, მიხეილის ქუჩის ახლოს, ტელეფონი № 199.

ელექტრო-ტეხნიკური საწყობი

კ. ი. გურგენოვისა და გ. ი. ბეგოვისა

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 4.

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვინაიდან მომავალი 1913 წლის 1-ლ იანვრიდან საწყობი გადადის ახალი ფირმის **„სავაჭრო სახლი იაკობ სვიმონის ძე ბეგოვი"**-ს ხელში ამ მიმდინარე დეკემბრის 10-დან თვის დამლევამდე დანიშნულია **დიდი იაფი ვაჭრობა** საელექტრო ჭაღებისა და ყოველგვარ ელექტრონის გასანათებელი მასალებისა.

ფასები მეტად დაკლებულია. 860

პატივისცემით **კ. ი. გურგენოვი და გ. ი. ბეგოვი.**

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება ახლად მიღებული წიგნები.

ნ. მარრ. История термина „абхазъ" . . . . . ფ. 15 კ.
Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Коридіи . . . . . 40 „
Къ вопросу о задачахъ армяновѣдѣнія . . . . 15 „
Яфетическое происхожденіе абхазскихъ терминовъ родства . . . . 10 „
Объ армянской иллюстрованной рукописи изъ Халкедонитской среды . . . 15 „
Гдѣ сохранилось сванское склоненіе? . . . . 10 „
Происхожденіе въ охотничьяго быта двухъ грузинскихъ терминовъ уголовнаго права: გერში ღ სანახშირო . . . . 15 „
Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи I . . 15 „
იგივე . . . . II . . 15 „
იგივე . . . . III . . 15 „
Къ вопросу о положеніи абхазскаго языка среди яфетическихъ. . . . 65 „
Paul Peeters, S. I. S. Romain le Neomartqr რომანოზ ახალ-მოწამე ქართული ისტ. წყაროებით. 1[illegible] „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ოლღინის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მოსიარულე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მალალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირაძიევი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1. **ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) $11^1/_2$ $12^1/_2$.
ქალთა და საშობის სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძიევისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თოკაძაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილისა (რა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. [illegible]

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). **ტელეფ. 7-92.** 847

ექიმი ი. ი. გერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ერლიხ-განის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 530

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ხუთშაბ., 27 ქრისტეშ., დილ. 11 ს., ქალაქ. საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საგანგებო საზოგადო კრება იაფფასიან ბინის პატრონთა და დამქირავებელთა საზოგადოების საბჭოსი,** რასაც იუწყება საზოგადოების საბჭო. **განსახილველი:** 1. საბჭოს მოხსენება—წესდების მე-5 მუხლის პროექტი. ა) სამ[illegible] ფონდის დაარსებისა, 2. 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდი სარევიზიო კომისიის დასკვნით. 3. საბჭოს წევრთა და კანდიდატთა, და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნა. 4. ხმის უფლება აქვს ყველას, ვინც წევრად ჩარიცხულია და ფულიც შემოტანილი აქვს (3 მ. საწევრო და 1 მ. შესავალი). 876

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ცალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე
აბაშიძე. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.
მონხე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. და შაბათ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ზესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ. დღ., კვ. გარ და 1½ 2½ ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვეში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბ.-თობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
წამლობა „606“-ით. 10[illegible]

ნაფიც-ვექილ. თანაშ.
გიორგი პავლეს ძე
გორდეზიანი
გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. მედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—. ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ს. ი. ზაქარიაშვილი
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ი. ქ. აბაკელია
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ.
ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

(დასასრული *)

სნეჟკოვი. საჭიროა სათათბიროს უმრავლესობა შესდგეს საერთო მუშაობის ნიადაგზე. სათათბირო არ უნდა შეეხოს უმაღლეს მთავრობის ძირითად საკითხს. იგი უნდა იდგეს ძირითად საკითხების ნიადაგზე.

ნევიანდტი ნაციონალისტთა ფრაქციის სახელით სიამოვნებით ეგებება კოკოვცევის განცხადებას, რომ მიწათ-მოწყობის საკითხში დაცული არის პოლიტიკის მემკვიდრეობის პრინციპი.

კოვალევსკი. სახალხო განათლების დარგში კოკოვცევი ბევრს რამეს გვპირდება, მაგრამ ვაი თუ ეს ლამაზი სათაურების წიწილის წკრიალი იყოს. უკეთესი იქნებოდა, დეკლარაცია დაგვპირებოდა საყოველთაო სწავლის შემოღებას მოკლე ხანში. სათათბირომ უნდა რაც შეიძლება მეტი იფიქროს საზოგადო კეთილ დღეობაზე და რაც შეიძლება ნაკლები თავის თავზე.

პოსტნიკოვი ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. კოკოვცევის მიერ წარსულ კაბინეტისგან მიღება საადგილ-მამულო საქმის პოლიტიკისა, ჰნიშნავს ძალ-დატანებითი განადგურებას, რომლითაც იშხამება გლეხობის მრავალი მილიონი ხალხი. თუ მისი მოსპობა ძირს უთხრის სახელმწიფოებრივ წესწყობილებას (ტაშის-ცემა მარცხნივ).

იაკუბინი. მთავრობის პოლიტიკა საზოგადოთ განაპირა ქვეყნებისკენ მიმართული და კერძოთ ლიტვისკენ, აშენებულია რუსიფიკაციაზე, სხვის ეროვნების პიროვნების გაქრლვაზე და მოსპობაზე. ამის გარდა გამარუსებელ ფაქტორად ჩაითვლება საგლეხო ბანკი. მიწათ-მოსაწყობი კომისიები პირდაპირ დანიშნულების მაგიერად, გამარუსებელ პოლიტიკას ემსახურებიან. შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს იაკუბინი, რომ მთავრობის სისტემა აგებულია უფლებრივ დებულებათა სრულ უარყოფაზე. ეხლანდელი სისტემა უნდა შეიცვალოს კანონიერ სისტემაზე და სამინისტრო პასუხის მგებელი იყოს ქვეყნის წინაშე (მარცხნივ ტაშისცემა).

პეტროვი. მუშათა მდგომარეობას ეხება. ჰგმობს დაზღვევის ახალ კანონებს. მუშათა მდგომარეობა თანდათან უარესდება. მთავრობამ მთლად დაივიწყა უმუშევარნი. მუშები იბრძოდნენ უკეთეს პირობების მოსაპოვებლად.

გამოაცხადეს შედეგი საზღვაო და სამხედრო კომისიების დამატებითი არჩევნებისა.

შამოვი. პროტესტს აცხადებს, რომ სოც.-დემ. კანდიდატი კიდევ გააშავეს. კომისიაში მისავალი არა აქვს გლეხთა და მუშათა წარმომადგენლებს, იმ დროს როცა ამ კლასს აწვება მძიმე ლოდად მოსალოდნელი ომი.

სტეფანოვი. პროტესტს აცხადებს პროპორციანალურ პრინციპის დარღვევის გამო.

ერთხმად დაადგინეს შემდეგი სხდომა საღამოს 9 საათისცის დანიშნონ.

სათათბირო მსჯელობს სოც.-დემ. შეკითხვის სწრაფ განხილვაზე. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისადმი. პეტერბურგის საზოგადო საქმეთა უწყებას უარი უთქვამს მუშათა საპროფესიო კავშირების საკითხის განსახილველ საქმეთა სიაში შეტანაზე.

შაღაევი ამტკიცებს შეკითხვის სწრაფ განხილვის საჭიროებას. 6 ოქტომბერს პეტერბურგის საზოგადო საქმეთა უწყებამ მუშათა საპროფესიო კავშირს უარი უთხრა საქმის განხილვაზე. უარის საბაბად გამოუყენებია 4 მარტს გამოცემულ კანონის მუხლები. მოლაპარაკე გადავიდა მთავრობის ორგანოების თვითნებობაზე მუშათა ორგანიზაციების მიმართ. თავმჯდომარემ რამდენჯერმე შეაჩერა შაღაევი და ბოლოს სიტყვაც წაართვა.

მალინოვსკი მომხრეა შეკითხვის სწრაფ განხილვისა. მუშათა ორგანიზაციებს ფრიად ავიწროებენ.

საკითხის სწრაფ განხილვა სათათბიროს უმრავლესობამ, 87 ხმის წინააღმდეგ უარჰყო.

გამოაცხადეს სოც.-დემ. სწრაფი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, პეტერბურგის ადმინისტრაციის მიერ მუშათა კრების შევიწროვების გამო, რის წყალობითაც სალარი არა აქვთ მუშებს განიხილონ მუშათა დაზღვევის ახალი კანონი.

ხაუსტოვი. მომხრეა შეკითხვის სწრაფ განხილვისა. მუშებს არა აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ახალ დასაზღვევ დაწესებულებებში, რადგანაც არა აქვთ საშუალება ახალი კანონები განიხილონ.

მალინოვსკი. შემოტანილ შეკითხვის სწრაფლ განხილვას მოითხოვენ ის მუშები, რომელნიც გაფიცულნი არიან პროტესტის ნიშნად. მთავრობა ახლავე არღვევს მუშათა დაზღვევის ახალ კანონებს.

ლავროვი. წინააღმდეგია საკითხის სწრაფლ განხილვისა. სათათბიროსა ჰსურს ისეთი ნორმები შექმნას, რომელნიც ცხოვრებას წესიერ კალაპოტში ჩააყენებს. ეს მუშაობა მით უფრო უკეთესად დაგვირგვინდება, რაც ნაკლები იქნება შეკითხვათა რიცხვი ცალკე პირთა და დაწესებულების მიმართ.

სათათბიროს უმრავლესობამ შეკითხვის სწრაფლ განხილვის საჭიროება უარჰყო. საკითხი კომისიას გადაეცა.

შემდეგი სხდომა საღამოთია.

საღამოს სხდომაზე როძიანკო თავმჯდომარეობს.

თავ. მანსირევი. როგორც ქ. რიგის წარმომადგენელი, ეხება პრიბალტიის მხარის მოთხოვნილებებს. საჭიროა დაძველებულ ადგილობრივ თვითმართველობისა, და საადგილმამულო საქმეთა რეფორმები. საჭიროა აგრეთვე შეიცვალოს ადგილობრივი სასამართლო. თუ ეს რეფორმები განხორციელდა პრიბალტიის მხარე ძალ დაუტანებლივ ბუნებრივად შეურთდება რუსეთის იმპერიას, (ტაშის-ცემა მარცხნივ)

ჩხეიძემ დაწვრილებით განიხილა მთავრობის დეკლარაციის სხვა და სხვა ნაწილი. შეეხო იმასაც, თუ როგორ შეჰხვდა სათათბიროს ფრაქციები დეკლარაციას. პირველ ყოვლისა,—სთქვა მოლაპარაკემ,—საჭიროა რუს ხალხსა და რუსეთში მოსახლე ერებს მიეცეთ თავისუფლება. თავისუფლების მინიჭება შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც თავისუფლება მახვილის წვერზე მოაქვს. როცა რუსეთის ხალხის თავისუფლება უზრუნველი იქნება, მხოლოდ მაშინ შეუძლიან ტანჯულ მოძმეთა გასანთავისუფლებლად წავიდეს. ამ თავისუფლების მოსაპოვებლად არ ვარგა არც მეოთხე სათათბირო, არც ეხლანდელი მთავრობა: რუსეთის იმპერიის ერებს ისეთი სათათბირო და მთავრობა უნდა ჰყავდეს, რომელიც გამოჰხატავს მათ ნებას, მისწრაფებებს და იმედებს. რუსეთი მხოლოდ ამისთანა მთავრობის და სათათბიროს შემწეობით წავა წინ. სოც.-დემ. მოუხმობენ ხალხს მოიპოვოს თავისუფლება, და ამ გამარჯვების შემდეგ ვიდოდეს იგი აღმოსავლეთით და დასავლეთით და ყველგან მოჰფინოს თავისუფლება. მისი დევიზი იქნება: „თავისუფლება რუსეთის მეზობელ ერების!“ (ტაშის-ცემა მარცხნივ).

ფრიდმანი. არც ერთ დეკლარაციას, ოთხ სათათბიროს წინაშე წარმოთქმულს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ებრაელთა საკითხის თაობაზე. ამ საკითხის გამორკვევა ეხება რუსეთის სახელმწიფო ძირითად დებულებათ, რადგანაც იგი დაკავშირებულია 17 ოქტომბრის აღთქმასთან. მოლაპარაკემ დაასურათა ებრაელთა მდგომარეობა მთავრობა გვპირდება კეთილგანწყობილებას, ეს კეთილგანწყობილება. კი გამოიხატება პიროვნების ელემენტალურ უფლებათა შეზღუდვაში, და შეზღუდვის დაუჯერებელ საზღვრებამდე მიყვანაში. სანამ არ ვაღიარებთ დიდებულ პრინციპს, რომლის ძალითაც არავინ არ იქნება შეზღუდული და შევიწროვებული თუ არა სასამართლოს დადგენილებით, მანამ არ იქნება თავისუფლება და მანიფესტი განხორციელებას ვერ ეღირსება. (ტაშის-ცემა მარცხნივ).

გარუსევიჩი. პოლონეთის მართვა-გამგეობის პრაქტიკა სრულიად ეწინააღმდეგება დეკლარაციის მშვიდობიან კილოს. პოლონელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ მესამე სათათბიროს მოქმედების შედეგი. პოლონელ საზოგადოების მისწრაფება ხალხის ეროვნულ-კულტურული აღდგენა და წარმატებაა. მთავრობა ამ მისწრაფებას სასტიკად ეწინააღმდეგება: იკეტება განმანათლებელი საზოგადოებანი, იდევნება ადგილობრივი ენა. თუ ისტორიული მომენტი არ შესცვლის მთავრობის შემავიწროებელ პოლიტიკას პოლონელ ხალხის მიმართ, ეს გარემოება გამოიწვევს შედეგებს, რომელსაც პოლონელი ხალხი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს.

დიმშა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებში გამოსჭვიოდა შერიგების კილო. პოლონელნი სიხარულით ეგებებოდნენ ამას, რომ სიტყვებსა და სინამდვილის შორის სასტიკი წინააღმდეგობა არ იყოს. პოლონეთში არ არის პოლონური სკოლა, არ არის ადგილობრივი თვითმართველობა, სამოქალაქო დებულებას აფერხებს სახელმწიფო საბჭო, პოლონელებმა ყოველი საშუალება იხმარეს ხელი შეეშალათ უფლების დარღვევისთვის და პოლონელ ხალხის ინტერესების დაცვისთვის,—მაგრამ ყველა ამაო იყო. მინისტრთა საბჭოს მშვიდობიან კილოს მაშინ ექნება ფასი, თუ სიტყვას საქმეც მოჰყვება.

პუტკამერი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს არა ჰქონდა იმედი მოქალაქობრივი გამბედაობა ეთქვა პოლონელ ხალხისთვის, რომ მთავრობა არ განახორციელებს 17 ოქტომბრის მანიფესტსაო. 30 წლის განმავლობაში გაუძლით მურავიოვის რეჟიმს და გაუძლებთ იმ ეპოქასაც, სანამ მანიფესტი მაინც განხორციელებული არ იქნება.

ეპისკოპოსი ანატოლი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვები მართმადიდებელ ეკლესიის მიმართ, კეთილ განწყობილებას გვპირდება. მაგრამ მადლობის სათქმელი სიტყვები ყელში გვეჩხირება, რადგანაც წარსულით დიდი მწუხრება და ნაღველი გვაქვს დაგუბებული. გავბედავთ გამოვთქვათ სურვილი, რომ შემდეგ მაინც არ განმეორდეს ის სიმწვავე საკითხისა, რომელიც სამრევლო სკოლების გარშემო ატყდა. საჭიროა სემინარიის მასწავლებლებს ჯამაგირი გიმნაზიის მასწავლებლების ჯამაგირს გაუთანაწორდეს. მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გახშირებულ სექტანტობა, რომელიც არამც თუ სარწმუნოების საქმეს ჰვნებს არამედ სახელმწიფოებრივობასაც განსაცდელს უმზადებს (ტაშისცემა მარჯვნივ).

15 ქრისტიშობისთვე.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

დეკლარაციის განხილვა გრძელდება.

სავენკო. ნაციონალისტებს მხურვალედ ჰსწადიანთ რუსეთის მშვიდობიანი წინსვლა. თუ მთავრობას არ ჰსურს დააკმაყოფილოს მცირედი მოთხოვნილება მაინც, როგორიც არის საერობო თვითმართველობის უფლებათა გაფართოვება, და ადმინისტრაციის მზრუნველობის შესუსტება. თუ მთავრობას ეს არა ჰსურს, ეს იმას ჰნიშნავს რომ რევოლიუციის სათამაშოდ გაიხადოს თავი. კოკოვცევს უსაყვედურეთ, რომ მთავრობის პოლიტიკას არ აქვს ეროვნული ნიადაგი. ამის თაობაზე არა უთქვამს-რა კოკოვცევს, გარდა იმისა, რომ ყველა საკანონმდებლო მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეროვნული იდეაო. მთავრობის დეკლარაცია, თავისდა უნებურად ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მთავრობა სცდილობდა მემარცხენეებისთვისაც მოეგო გული, მემარჯვენებისთვისაც და შუაგულისაც. სტოლიპინის სიკვდილის შემდეგ მთავრობამ. შემოიფრთხო ყველა ძველი მეგობარი და ახალი კი ვერ შეიძინა. სტოლიპინმა კი არ შექმნა ეროვნული მოძრაობა, არამედ ეროვნულმა მოძრაობამ შექმნა სტოლიპინი, როგორც ნაციონალური სახელმწიფო მოღვაწე. სავენკო უკმაყოფილებას აცხადებს ოპოზიციის მტკიცების გამო, თითქოს ნაციონალისტები ჰსარგებლობენ მთავრობის კეთილ განწყობილებითო; მემარცხენეთა პრესის ყოველ დღიური ტერორი ვერ შეგვაცვლევინებს იმ გზას, რომელიც გვიკარნახა ჩვენმა სინიდისმა, ხალხის შემოქმედების ღრმა რწმენამ და ეროვნულ იდეალისკენ მისწრაფებამ. პირველ სათათბიროში სიტყვა „პატრიოტიზმი“ თითქმის სალანძღი სიტყვა იყო, მეოთხე სათათბიროში კი პატრიოტიზმზე მილიუკოვიც კი ლაპარაკობს (ხანგრძლივი ტაშისცემა მარჯვნივ და ცენტრში).

მოლაპარაკეთა სიტყვები ათის წუთით განსაზღვრეს.

ნოვიცკი. მილიუკოვმა განაცხადა, კადეტებს ომი არა სწადიანთო. შეიძლება დადგეს დრო, როდესაც თვითმპყრობელი ხელმძღვანელი მოუწოდებს ჯარს ბრძოლისთვის სლავიანთა დასაცველად. არამც და არამც არ შეუშვათ მემარცხენე ორგანიზაციათა წარმომადგენელნი სამხედრო და საზღვაო კომისიაში (მარჯვნივ ტაშის ცემა).

დემჩენკო. განსაკუთრებით დეკლარაციის იმ ალაგს შეეხო, საცა ლაპარაკი იყო ქალაქის თვითმართველობის რეორგანიზაციისთვის ხუთი წლის წინადაც ადგენდა პროექტებს, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში მთავრობა სიტყვიდან საქმეზე არ გადასულა, არსებული საქალაქო დებულება მოძველდა, ქალაქის კეთილდღეობა განსაცდელშია ჩავარდნილი, საფინანსო მდგომარეობა ქალაქისა უმწეოა, რადგანაც გარდასახადთა გაწერის არსებული უფლებანი აღარ აკმაყოფილებს ახალ-ახალ მოთხოვნილებებს, რომელიც წამოაყენა ქალაქის კულტურულმა ზრდამ. ქალაქი აუარებელ ფულსა ჰხარჯავს პოლიციაზე. სახელმწიფოს ახალმა გადასახადმა ხარჯის გაწერა აამაღლა არა 10%, არამედ 50%. საჭიროა სათანადო ყურადღება მიაქციოს მეოთხე სათათბირომ ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებას. (ტაშის ცემა ცენტრში და მარჯვნივ).

იჩასი. ჩრდილო-დასავლეთ მხარეში არა რუსთა მდგომარეობა 17 ოქტომბრის მანიფესტით ფრიად ძლიერედ შეიცვალა. ლიტველები ხელჩართულნი მისდევენ რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებას. რუსეთის კეთილდღეობის დასამყარებლად, განურჩევლად ეროვნობისა და სარწმუნოებისა. ლიტველები თავისით რუსეთის ხალხსაც წარმოადგენ (მარცხნივ ტაშის-ცემა).

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 776.

სახელმწიფო საბჭო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო.)

15 დეკემბერი.

გოლუბევის თავმჯდომარეობით საბჭო განაგრძობს სავაჭრო მოსამსახურეთა დასვენების კანონ-პროექტის განხილვას.

დურნოვო თავის შესწორებას იცავს, რომ სიტყვა „ვაჭრობისა და მუშაობის წარმოება“ სიტყვით „მოსამსახურეთა მუშაობით“ შეიცვალოს. ორატორი თხოულობს ვაჭრობის გამოყოფას მოსამსახურეთა დასვენებისაგან, როგორც ეს ყველგან საზღვარ-გარედ არის. მოსამსახურეთა დასვენება კანონის მფარველობაში უნდა იყოს, ვაჭრობა კი საზოგადო მყუდროების მოთხოვნილებას დაუმორჩილდეს.

ბობრინსკის აზრით შესწორება კანონის ფარგლებში თავსდება, ეთანხმება მის არსებით შინაარს, მეტად იცავს მოსამსახურეთა ინტერესებს.

ვაჭრობის მინისტრი აღნიშნავს, რომ შესწორების მიღება მთავრობის კანონ-პროექტის უარყოფასა ჰნიშნავს. მოსამსახურეთა დასვენების გამოყოფა ვაჭრობიდან კარგი აზრია, მაგრამ პრაქტიკით განუხორციელებელია. მინისტრი ამტკიცებს, რომ კანონ-პროექტის მიღებით არც ხალხი იზარალებს და არც მხარეთ.

ზინოვიევი მე-3 შენიშნავს მინისტრს, რომ ინგლისსა და გერმანიაში მოსამსახურეთა დასვენების უზრუნველყოფა ვაჭრობის დაკეტვასთან არ არის დაკავშირებული.

ტიმირიაზევი თანახმა არ არის, ვითომ შესწორება უკეთ იცავდეს მოსამსახურეთა ინტერესებს. თვითონ სავაჭრო მოსამსახურენი ამბობენ, რომ ვაჭრობის დაკეტვა სჯობია მათი დასვენებისთვის.

ერმოლაევი ჰფიქრობს, რომ მოსამსახურეთა დასვენების დაცვა ვაჭრობის დაუკეტველად შუღლს გამოიწვევს მეპატრონე და ნოქართა შორის.

დურნოვოს შესწორება საბჭომ 65 ხმით უარჰყო წინააღმდეგ 47— და შესავალ ნაწილს იღებს პირველ განყოფილებისას კომისიის რედაქციით.

დურნოვო ახალ შესწორებას იცავს, რომლითაც მაქსიმალური დრო ვაჭრობისა 16 საათი იყოს.

კანონ-პროექტი კი 12 საათს იცავს, თუმცა მომატებაც შეიძლება 15 საათამდის.

მინისტრი წინააღმდეგია დურნოვოს შესწორებისა.

მ. კოვალევსკი აგრეთვე წინააღმდეგია შესწორებისა, რადგან მაშინ ყველა მეპატრონე კანონის ძალით 16 საათს ამუშავებს ნოქარსაო.

დურნოვომ მოხსნა შესწორება, მინისტრის მტკიცებით დაჯერებულმა, და მეორე შეიტანა, რომლითაც სიტყვა „ბინაზე მიტანა ან კარდაკარ დატარება“ ამოიშალოს, რადგან დროით შეზღუდვა ამგვარ ვაჭრობისა შეუძლებელია და ამ მხრივ თვალყურის დევნება მეტად ძნელია.

ვაჭრობის მინისტრი წინააღმდეგია შესწორებისა, რადგან კანონი დაბა-სოფლებში არ მოქმედებს და ქალაქში კი საქონელი ახალგაზრდა ნოქართ დააქვთ, რომელთაც მფარველობა სჭირიათ.

გურკო ამბობს, რომ [illegible] დამტარებლები მეპატრონის კონტროლ ქვეშ არ არიან, ზედ მეტ მუშაობას ვერ დააძალებს.

მინისტრი განმარტავს, რომ დამტარებლები პოლიციის კონტროლის ქვეშ არიან.

ერმოლოვი ამტკიცებს, რომ დატარებით ვაჭრობის გამოტოვება კანონიდან ცარიელ ადგილს სტოვებს: ნოქრები დაკეტილ დუქანის წინ ივაჭრებენ.

საბჭომ დურნოვოს შესწორება უარყო და კომისიის რედაქციით პირველი მუხლი მიიღო.

სხდომა ცოტა ხნით შესწყდა, რის განახლების შემდეგ მუხლობრივ განხილვას განაგრძობენ. კამათში 2—6 მუხლთა შესახებ მონაწილეობდნენ ვაჭრობის მინისტრი, განსაკუთ. კომ. თავმჯდ. ტიმირიაზევი, მომხსენებელი ტრიპოლიტოვი, კრამერი, როტვანდი, ერმოლოვი, კოვალევსკი, ფონ-დიტმარი, დურნოვო, გურკო, ზინოვიევი 3.

მეორე მუხლი, რომლითაც მუშაობა გრძელდება საჭირო საქმის ასასრულებლად 2—საათით, მინისტრის წინადადებით მიიღეს.

მესამე და მეოთხე მუხლი ფონ-დიტმარის შესწორებით მიიღეს, რომლითაც 15 საათით ვაჭრობა სანოვაგის დუქნებში ნება დართული.

მეხუთე მუხლი დურნოვოს შესწორებით, სადაც 15 საათით ვაჭრობაში ჩეემატა აფთიაქისა და საქირურგიო ინტრუმენტებით ვაჭრობა.

ტიმირიაზევი ბაზრებსა და გამოფენებს ურთავს.

მინისტრის წინადადებით 15 საათით მეტი ვაჭრობა უარყვეს ყოველგვარ შემთხვევაში.

მეექვსე მუხლის განხილვის დროს კვორუმი აღარ იყო, ამიტომ სხდომა 19-დეკემბრისთვის გადაიდო.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ილიას ძეგლის** დასრულებას კიდევ ერთი ახალი დაბრკოლება გადაეღობა. როგორც ვწერდით, კვარცხლბეკი სრულიად დამთავრებულია და გარშემო რკინის მოაჯირი აქვს შემოვლებული. აკლია მხოლოდ მარმარილოს ფიცარი, რომელიც კვარცხლბეკზე უნდა დაიდოს. ამ ფიცარზე ძეგლი უნდა დადგას. ფიცარი კვარცხლბეკზე დუღაბით უნდა დაეკროს, მაგრამ ეს ამ ჟამად შეუძლებელია, რადგანაც ამ ყინვაში დუღაბი ფიცარს ვერ დაიჭერს.

◆ **წვრილი კრედიტი.** ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდა ბ-ნი ვასილიევი, რომელმაც მოიარა კახეთი და დაწვრილებით დაათვალიერა თელავისა, ველისციხისა, ბაკურციხისა, გურჯაანისა, სიღნაღისა და კარდანახის საკრედიტო ამხანაგობანი. ბ-ნ ვასილიევის სიტყვით, ანგარიშები და საქმის წარმოება ყველგან რიგიანად არის დაყენებული.

◆ **ტრამვაის ვაგონების მოძრაობა** გუშინ, 17 ქრისტიშობისთვეს, დილის 8 საათიდან 9 საათამდე გოლოვინის პროსპექტზე შეწყვეტილი იყო ელექტრონის ძალის უქონლობის გამო.

◆ **ქრთამები.** მეწვრილმანემ გალუსტოვმა მეშვიდე უბნის ბოქაულს დავიდოვს მეწვრილმანეთა სახელით 55 მან. მიუტანა ქრთამად და სთხოვა, დუქნებს ადრე ნუ დაგვაკეტინებო. ბოქაულმა ფული პოლიცმეისტერს წარუდგინა. გალუსტოვს სამართალში აძლევენ, ხოლო ფული ხაზინაში შეიტანეს ამიერ-კავკასიის საერობო გადასახადში ჩასარიცხად.

— სამართალში აძლევენ სპარსეთის ქვეშევრდომს გერუს მამედ ალი ოღლის რომელმაც საპოლიციო უბნის ზედამხედველს 2 მან. შეაძლია ქრთამად.

◆ **ახალი ბაღები.** ხმოსანმა სტ. თ. ქრელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიისა და ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა კუკიასა და შუა ბაზარში საქალაქო ბაღები გააშენონ.

◆ **შუამდგომლობანი** ტფ. საქველმოქმედო საზოგადოებებისა, რომელნიც ქალაქის თვითმმართველობისგან ნივთიერ დახმარებას თხოულობენ, განხილულ იქნება ამ დღეებში ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში.

◆ **ტრამვაი.** 1915 წლის მარტს ქალაქის თვით-მმართველობას ნება ეძლევა, ბელგიის უსახელო საზო-

გადოებისაგან მთელი ტრამვაის წარმოება გამოისყიდოს. აღძრულია საკითხი, რომ ამ ვადას არ მოუცადონ და ტრამვაი ახლავ გამოისყიდონ. რამდენად ხელსაყრელია ქალაქისთვის ტრამვაის გამოსყიდვა, სჩანს შემდეგ ცხრილიდან, რომელიც ამოღებულია უსახელო საზოგადოების ოფიციალურ ანგარიშიდან: 1905 წ. ტრამვაის შემოსავალი ჰქონია 605,183 მან. 67 კაპ., ხარჯი—335,467 მან. 49 კ., მოგება 269,716 მან. 19 კაპ.; 1906 წ.: შემოსავალი—711,854 მან. 41 კაპ., ხარჯი—409,930 მან. 38 კაპ., მოგება—220,924 მან. 03 კაპ.; 1907 წელს: შემოსავალი—795,013 მან. 60 კ., ხარჯი—678,794 მ., 81 კაპ., მოგება—116,228 მანეთი 74 კაპ.; 1908 წელს: შემოსავალი—903,418 მან., 35 კ., ხარჯი—733,302 მან. 33 კაპ., მოგება—170,117 მან. 02 კაპ.; 1909 წელს: შემოსავალი—966,652 მან. 36 კ., ხარჯი—699,526 მან. 66 კ., მოგება—267,125 მ. 70 კ.; 1910 წელს: შემოსავალი—1.032,686 მ. 03 კაპ., ხარჯი—686, 312 მ. 41 კ. მოგება—346,373 მ. 62 კ. და 1911 წელს: 1.121,304 მ. 88 კ., ხარჯი—701,453 მ. 33 კ., მოგება—419,851 მ. 55 კ. საზოგადოდ, სხვა ქალაქების ტრამვაის ხარჯი შემოსავლის 46—55 პროცენტს უდრის. ტფილისის ტრამვაის ხარჯი 1905 წელს შემოსავლის 55 პროც. უდრიდა, ხოლო 1906—1908 წლებში 72—85 პროც. ჟვიდა მუშათა მოძრაობის გამო. 1910 წლიდან ხარჯმა დაიწია და ამ ჟამად 60 პროც. უდრის. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტრამვაის 636,380 მან. შემოსავალი ჰქონდა, ხოლო ხარჯი—391,475 მ. ტრამვაის გამოსასყიდად ქალაქს დაახლოვებით რვა მილიონი მანეთი დასჭირდება.

✦ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლითაც კანტორის დაბალ მოხელეთა შტატი გადიდებულ უნდა იქმნას და ჯამაგირებიც უნდა მოემატოთ. ამ პროექტით, დაბალი მოხელენი სამ კატეგორიად იქნებიან დაყოფილნი. პირველ კატეგორიის მოხელენი თვეში 30 მან. მიიღებენ, მეორისა—40 მან. და მესამისა—50 მან. პროექტი დასამტკიცებლად უწმ. სინოდს წარედგინა.

✦ **ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სტიპენდიები.** 10 ქრისტიშობისთვეს დასრულდა თხოვნების მიღება იმ პირთაგან, რომელთაც ზუბალაშვილისა და ღოღებერიძის სახელობის ოთხის სტიპენდიის მიღება სურთ. სტიპენდია ითხოვა 134 კაცმა. თხოვნებს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა 20 ქრისტიშობისთვეს შემდეგ განიხილავს.

✦ **მოკლე ვადიან სესხზე,** რომელიც მცირე კრედიტის ამხანაგობებს ეძლეოდათ სახელმწიფო ბანკიდან სარგებელმა 6% მდის აიწია ნაცვლად 5%-სა.

✦ ქალთა უმაღლეს კურსების ღარიბ მსმენელთა სასარგებლოდ კურსების შენობაში 15 ქრისტიშობისთვეს სალიტერატურო-სამუსიკო და საცეკვაო საღამო გაიმართა.

✦ 15 ქრისტიშობისთვეს „ლონდონის" სასტუმროში მაძებარმა პოლიციამ დააპატიმრა ნუხელი ვაჭარი ალი ახმედოვი, რომელსაც მოსკოვში სხვა და სხვა ბანკებიდან ყალბი ვექსილებით გამოუტანია რამდენიმე ასი ათასი მანათი. ახმედოვს, მაძებარ პოლიციაში რომ მიიყვანეს, პოლიციის აგენტისათვის ქრთამი შეუძლევია. ახმედოვი პასუხის გებაში მისცეს.

✦ პირველ სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგი, პროფესორი გრედესკული ტფილისს ჩამოვა და ორ ლექციას წაიკითხავს. პირველს 21 ქრისტიშობისთვეს „ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში", მეორეს, 23 ამ თვეს: „ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში". 22 ქრისტიშობისთვეს წაიკითხავს ამავე ლექციას ქუთაისში.

სასანიტარო დათვალიერება. 13 ქრისტიშობისთვეს სასანიტარო ექიმმა ზაბლუდოვსკიმ, სავაჭრო სამეურნეო მეთვალყურემ სუქიასოვმა, ბოქაულმა სავჩუკმა და სასანიტარო ზედამხედველმა ტერ-ოგანეზოვმა მექვსე საპოლიციო უბანში სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერეს და ზოგიერთს ადგილას სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინეს.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" (№ 11) შემდეგის შინაარსით:

საიდან გაჩნდი სურათი. ფუტკარი და ია, ლექსი—შიო მღვიმელისა, ფრთხილი ძაღლი ამბავი, კვერნას მარცხი (ბიკოვიდან), თვალთმაქცი ციცუნია (თარგმანი), დედის ხმები, ლექსი—გელასი, სამი მეგობარი, ამბავი თამარა თარხან-მოურავისა, ნატვრის ბეჭედი (ზღაპარი) დასასრული—ვიკენტი თაბუკაშვილისა, გადარჩენ, გადარჩენ! (ბიკოვიდან) მანანასი, მწყემსის ფიცრული (ფრანგულიდან)*** წვრილმანი: გამოცანა, ზმა—გასართობი, თავაზიანი შვილიშვილები (სურათზე დაწერილი) გ. გველესიანისა, ზამთრის პირი, ლექსი—გელასი, გიორგობისთვე—ეკატერინე გაბაშვილისა, ლომის ლეკვი (დასასრული) ილიკო ფალიანისა, დათუნიას ოინები (შემდეგი იქნება) სკოტფორდისა თარგმანი—ფ. სირაძისა, მოგზაურობა ახალ ათონში—ყარამან ჩხეიძისა, მესამე, მოთხრობა ლემერსიესი, თარგმანი—ელ. ხაბურზანიასი, ბიძიას ნაამბობი, ბავშვების ცხოვრებიდან, (დასასრული შემდეგ) ალ. ნათაძისა.

✦ წარსულ ნოემბრის განმავლობაში ტფილისში 160 საერთო ჩხრეკა-დაპატიმრება მოუხდენიათ. შეუპყრიათ 10.572 უპასპორტო და მათხოვარი.

✦ წარსულ ნოემბრის განმავლობაში მთელს ტფილისში პოლიციაში მოსამსახურეთაგან 137 კაცი დაუსჯიათ სხვა და სხვა დანაშაულისთვის.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, ლონისძიებანი მიიღონ, რათა მოსძებნონ უკვალოდ დაკარგულნი გიორგი სვიმონის-ძე მეხაშვილი, გრიგოლ ჰეურქასძე არუთინიანცი, ბორის მაქსიმიანის-ძე მარკუსოვი-მაქსიმოვი, ალექსი იაკობის-ძე გაჯაშვილი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გარა-აჯიაშვილი და ფროლა ბახმუტსკი.

✦ პოლიცმეისტრის თანაშემწეს გიორგი ანდღულაძეს წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენი ებოძა, ხოლო მაძებარ პოლიციის უფროს აბრამ გაგიევს—წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი.

წვრილი ამბები.

✦ ქუთაისის მცხოვრები რაჟდენ დავითის ძე ყიფიანი (სუდებნის ქუჩა, № 34) გაჰქურდეს. ეჭვით შეიპყრეს დომენტი ლეონტის ძე ყიფიანი, რომელიც ქურდობაში გამოტყდა.

✦ 15 ქრისტიშობისთვეს ღამე, გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „ორიანტს" ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მესამე სართულში გაჩნდა, სადაც მაზუთსა და ნავთს ინახავდნენ. დაიწვა სახურავის შუა ნაწილი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო. ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

✦ 16 ამ თვეს პოლიციამ შეიპყრო უპასპორტონი: მე-5 უბანში 20 კაცი, მე-8—15, მე-4—6, მე-6—9, მე-7—21, მე-9—16.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.** გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან საგურამოს სკოლის მასწავლებელი ბ-ნი რამინიშვილი, რომელიც ავად არის.

— წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ცალ-ცალკე იაფ-ფასიან წიგნებად გამოსცეს: „ქაჯანა" და „ალი" ნიკო ლომაურისა და ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობები.

— 1912 წელი უკვე თავდება და ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ წ.-კ. საზოგადოების წევრთა ამ წლის საწევრო ფული. გამგეობა ამით მოაგონებს წევრთ თავის ვალს და სთხოვს, ფული დროზე შეიტანონ.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის კრება ხვალ, 19 ქრისტიშობისთვეს, მოხდება. კომისია განიხილავს მოხსენებას მცირე კომისიისას, რომელმაც ამ დღეებში ქალაქის სალახანის ახალი შენობა დაათვალიერა.

✦ „ტფ. კრუჟოკის" წევრთა წლიური კრება 15 ქრისტეშობისთვეს მოხდა. წაიკითხეს და სარევიზიო კომისიას გადასცეს 1912 წ. ანგარიში. წელს „კრუჟოკს" შემოსავალი ჰქონია 82,45 მან. 30 კ., რაც წინა წლის მოგებიანად 131,582 მ. 55 კ. შეადგენს. ხარჯი ჰქონია 75,012 მან. 5 კ. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცეს. შემოსავალი ნავარაუდევია 74,410 მან., ხარჯი—64,060 მ. ასარჩევი იყო 11 მამასახლისი. ყუთი დაიდგა 46 კაცმა. აირჩიეს ექვსი (დანარჩენები გაშავდნენ): ნ. ს. რაზუმოვსკი, ნ. მ. ტურბოვიჩი, ა. ი. ჩეხოვსკი, ი. ე. გამყრელიძე, გ. პ. არჯევანიძე და ნ. ა. ბუკრეტოვი.

✦ **მეხილეთა საზოგადოების** კავკასიის განყოფ. წევრთა საერთო კრება კვირას, 16 ქრისტიშობისთვეს მოხდა საბაღოსნო სასწავლებლის სადგომში. კრებას კასპიდანა და ნახიჩევანიდან ჩამოსული მეურნენი და საბაღოსნო სასწავლებლის უფროს კლასის მოსწავლენიც დაესწრნენ. საბაღოსნო სკოლის გამგემ პ. გ. მელიამ წაიკითხა საინტერესო მოხსენება ატმის ხის მოვლის შესახებ.

სასწავლებლებში

✦ **მასწავლებლების მოწვევა.** შავი ქვის მრეწველთა კრებამ დაადგინა, მომავალ სამოსწავლო წლიდან მოიწვიოს მესამე მასწავლებელი შუქრუთის სასწავლებელში და მეორე მასწავლებელნი მღვიმეთისა და ზედარგნის სკოლებში.

სასამართლო

✦ **ყალბ საბუთებით** ფულის მიღების განზრახვა. ამ დღეებში ტფილისის სასამართლომ განიხილა საქმე ჯავის მცხოვრებლების ნიკოლოზ სანაკოევისა, ანდრია ბეზანოვისა და ყავდინა ხარებაშვილისა, რომელთაც დამზღვევ საზოგადოებისაგან ყალბ საბუთებით ფულის გატანის განზრახვა ბრალდებოდათ. საქმე ასე ყოფილა: ბეზანოვი დაზღვეულა საზოგადოებაში ვინმე გაგლოევის სახელზე, და შემდეგ, როდესაც ბრალდებულნი საზოგადოებაში მისულან და განუცხადებიათ, გაგლოევი მოკვდა დ ფული მოგვეცითო, ყველაფერი გამორკვეულა. სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და ღირსების ახდა და თვითოეულს 1½ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

✦ **პოლიტიკური საქმეები.** დღეს ტფ. სამოსამართლო პალატა გაარჩევს საქმეს ნოე ჟორდანიასას, რომელიც სამართალშია მიცემული სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით.

— ამავ დღეს პალატა გაარჩევს პ. კალანდაძის საქმეს. სამართალში მიცემულია მე-129 მუხლის ძალით.

სომეხთა ცხოვრება

✦ **არაქსიანის იუბილე.** მომავალ 1913 წელს სრულდება 25 წელიწადი, რაც სომხის სცენაზე მოღვაწეობს მსახიობი არაქსიანი (პავლე არტემის ძე ქალანთაროვი), რომელიც ცნობილია როგორც მსახიობი, დრამატიულ დასის ხელმძღვანელი და რეჟისორი და დამაარსებელი ავლაბრის სახალხო თეატრისა. ამ ჟამად არაქსიანი ავად არის და დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. ამიტომ არაქსიანის ნიჭის პატივისცემელთა ჯგუფმა განიზრახა, მომავალ წლის 11 იანვარს სახაზინო თეატრში სავანგებოდ შემუშავებულ პროგრამით ავადმყოფ მოღვაწის იუბილე გადაიხადოს. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარედ ლ. ი. მღებროვია, ხოლო ხაზინადარად მ. ნ. ათაბეგოვი.

კიევი.

✦ ამას წინად აქაურ ქართველ სტუდენტობას საერთო კრება ჰქონდა სათვისტომოს გამგეობის წევრთა ასარჩევად. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთ ი. გოგებაშვილის და ა. ხახანაშვილის ხსოვნას. შემდეგ მოხდა გამგეობის წევრთა არჩევანი. აირჩიეს ხუთი კაცი: დავ. მაჭავარიანი, დ. ჩხეიძე, ქ. რაქველიშვილი, ს. თოთიბაძე და ვ. მეგეხეიშვილი. სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ქ. რაქველიშვილი.

სოფლად

✦ **სოფ. დიდ-ლილოში** (გარეკახეთი) მიწათმოქმედების დეპარტამენტის აგრონომმა ბ. მარქაროვმა ქართულ სასოფლო-სამეურნეო ინსტრუქტორის დახმარებით მოაწყო **ძროხების საცდელ-საჩვენებელი კვება დანიურის წესით.** შედეგი ასეთის წესით კვებას მეტად კარგი მოჰყვა. ძროხებმა თითქმის ერთიორად, ზოგმა კი ერთი-სამად, მოიმატეს რძე. აღსანიშნავია, რომ დანიურის წესით საქონლის კვება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივის წესით, როგორც მიღებულია დღეს სოფლად. ამას გარდა მოწყობილი იყო საუბარი მესაქონლეობის შესახებ გუნდოვანის სურათებით. სასურველია ასეთი საცდელი კვება მოეწყოს ტფილისის სხვა ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც, სადაც რძეს ჰყიდიან და ძროხების ბაგაზე კვებაა მიღებული.

✦ **ლოჭინი** (გარეკახეთი). ამას წინად ლოჭინის მახლობლად ლილოელს მეცხვარეს გადაუვიდა ცხვარი ნორიის ადგილში. მეცხვარეს მოასწრეს ნორიის მინდვრის ყარაულებმა, რომლებმაც მოსხლიტეს ერთი ბოლოქი ცხვარი და გაირეკეს. მეცხვარე წამოეწია და ერთი ყარაულთაგანი, გვარად ცოფურაშვილი, დასჭრა ხანჯლით. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

ჟურნალისტის დღიური

107

სოციალ-დემოკრატების ოინები.

სოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, დიდ-ხანს ვერ მოინელებენ, რომ ქუთაისის გუბერნიიდან, სადაც ისინი ყოველთვის ბატონადა ჰგრძნობდნენ თავს, დეპუტატად აირჩიეს არა სოციალ-დემოკრატი, არამედ სოციალისტ-ფედერალისტი. ჩვენში შეთვისებული ბრძოლის მეთოდები რუსეთში გადაიტანეს და დარწმუნებული არიან, რომ იქაურ საზოგადოებასაც ისევე აუხვევენ თვალებს, როგორც ჩვენსას უხვევდნენ. უპირველესად ყოვლისა არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის უტაქტო საქციელი, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა ჩაიდინეს ბ-ნ ვლ. კარალენკოს მიმართ. ვლ. კარალენკოს მთელი შეგნებული და მოაზრე რუსეთი რუსის ხალხის სინიდისს ეძახის. იგი განხორციელებაა რიგიანობისა და ინტელიგენტობისა. ასეთი კაცი აირჩიეს სუპერ-არბიტრად გელოვან-გეგეჭკორის ინციდენტში, და სოციალ-დემოკრატებმა კი იგი არ მიიღეს, მიუდგომლობას ვერ გამოიჩინესო. ამისთანა შეურაცყოფა კოროლენკოს მხოლოდ ჩვენებური სოციალ-დემოკრატებისთანა უზრდელები თუ მიაყენებენ. სხვას ასეთი უტიფარი აზრი არ მოუვიდოდა.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი მუქარა შეასრულეს და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ გელოვანი ხალხის წარმომადგენელი არ არის, რომ ხალხმა სოციალ-დემოკრატებს დაავალა მათი ინტერესების დაცვა და სხვ. ეს „დავალი" სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დასდო ახლად არჩეულმა ჩხენკელმა თავის სადებიუტო სიტყვაში. ჩხენკელს, როგორც სხვა მის პარტიულ ამხანაგებს ალბად ეგონათ, რომ სახელმწიფო სათათბირო და რუსეთის საზოგადოება ქუთაისის ბულვარია, სადაც თავისუფლად შეიძლება ყოველგვარი ინსინუაციების თქმა. დაავიწყდა ჩხენკელს, რომ რუსის ინტელიგენცია სულ სხვანაირ ტრადიციებზეა აღზრდილი, მას განვითარებული აქვს საზოგადოებრიობის გრძნობა და ვერც მოიწონებს ისეთს საქციელს, რომელსაც საერთო საოპოზიციო მუშაობაში პირადი პარტიული ფანატიზმი შეაქვს. თუ არა გჯერათ, აბა ყური დაუგდეთ, რასა სწერს „რეჩი" ჩხენკელის ზემო-ხსენებულ სადებიუტო სიტყვაზე.

„ამ უკანასკნელის (ე. ი. ჩხენკელის) სიტყვაში,—სწერს „რეჩი",—უსიამოვნოდ მოქმედებდა სრულიად უადგილო გასწორება პარტიულ ანგარიშებისა დეპუტატ გელოვანთან". აი ასეთს შთაბეჭდილებას ახდენს ფანატიკოსების ოინები ხალხზე, რომელთაც შეუძლიანთ ფართოდ შეხედონ დღევანდელ მომენტს და საერთო მიზნები ზვარაკად არ შესწირონ პარტიულ ჟინიანობას.

შინაური.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

ინციდენტი სახალხო განათლ. კომისიაში.

სახალხო განათლების კომისიის პირველივე სხდომა სკანდალით დაიწყო. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გრ. ბობრინსკი, მდივნად პროგრესისტი ტიტოვი ნაციონალისტ გეპეცკის წინააღმდეგ. კენჭის ყრის შემდეგ კრუპენსკიმ მოითხოვა ხელახალი კენჭის ყრა მდივნისათვის, რადგან, მისი აზრით, ბარათები პირდაპირ თავმჯდომარეს კი არ ეძლეოდა, არამედ მეორე და მესამენი გადასცემდნენ ხოლმე, რისგამოც შესაძლებელია ვინმემ ორ-ორი ბარათი მისცაო. მარცხნიდან გაისმა ხმა; „ეს საძაგლობაა! მატყუარობას აქ ადგილი არა აქვს". კადეტმა ვორონკოვმა განაცხადა, რომ თავმჯდომარის არჩევანის წინააღმდეგი არავინ ყოფილა, თუმცა იგიც ასეთივე წესით იყო არჩეულიო; კრუპენსკი მაინც თავისას არ იშლიდა. მაშინ ვორონკომა განაცხადა, რომ არა მსურს ასეთ „ქუჩიან საქმეში" მონაწილეობის მიღებაო და უარი სთქვა კენჭის ყრაში მონაწილეობაზე. ბობრინსკიმ ვორონკოვს მოსთხოვა: უკანვე წაიღე ნათქვამიო. ასტყდა ხმაურობა. სხდომა შესწყდა. ვორონკოვმა განაცხადა: მხოლოდ მაშინ წავიღებ ნათქვამს უკანვე, თუ ოქტომბრისტები მოხსნიან ბობრინსკის წინადადებას მდივნის ხელახლად ასარჩევადო. ოქტომბრისტები დასთანხმდნენ, რის შემდეგაც ვორონკოვმა დაიბრუნა თვისი სიტყვები. თავმჯდომარის ამხანაგებად ოქტომბრისტები კოვალევსკი და ლელუხინი აირჩიეს.

სოც. დემოკრატები და შრომის ჯგუფი.

ქუთაისის დეპუტატის არჩევნის განსახილველად შემდგარმა სამედიატორო სასამართლომ თავმჯდომარედ აირჩია ვ. კუზმინ-კარავაევი. უმაღლეს მსჯავრმდებლად შრომის ჯგუფმა ცნობილი მწერალი ვლ. კოროლენკო დაასახელა, მაგრამ სოც.-დემოკრატები არ დასთანხმდნენ—იგი მიკერძებას გამოიჩენსო.

სახელმწიფოს დაცვის კომისიაში.

ხელახლად უნდა მოხდეს არჩევანი იმ წევრთა ნაცვლად, რომელთაც უარი განაცხადეს სახელმ. დაცვის კომისიაში მონაწილეობაზე. ოქტომბრისტები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ადგილები მემარცხენეებს ეკუთვნით, ამიტომ იგინი ოპოზიციის წევრებს დაასახელებენ ამ ადგილებზე. რაც შეეხება სოც.-დემ. და შრომის ჯგუფის წევრთა არჩევას, ოქტომბრისტებმა სრული თავისუფლება მისცეს თანამოაზრეთ ამ საკითხში. უმრავლესობა წინააღმდეგია უკიდურეს მემარცხენეთა არჩევისა.

სამოქალაქო სამსჯავროს რეფორმა.

სახელმწ. სათათბიროში შეტანილია კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება სამოქალაქო სასამართლოში საქმეთა წარმოების, მოკლე და გრძელი წესის შეცვლას, რომელთა მაგიერ განზრახულია ერთგვარი წესის შემოღება. საქმეთა წარმოების გასაადვილებლად აპელაციის ვადა ერთ თვემდე იქნება შემოკლებული, კასაციისა კი—ორ თვემდე.

საბიუჯეტო კომისიაში.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ, საბიუჯეტო კომისიაში აღარ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვი—66 კაციდან, მხოლოდ 13 გამოცხადდა, რის გამოც თავმჯდომარე იძულებული შეიქნა სხდომა დაეხურა.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

15—16 დეკემბერი.

საზავო მოლაპარაკება.

ლონდონი. ოსმალეთის დელეგატები მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგატებს თავის მხრივ შაბათს წარუდგენენ წინადადებას. ოსმალეთის დელეგატთა წინადადებები არსებითად ეწინააღმდეგება ბალკანეთისას. შესაძლებელია ორივე სახელმწიფოებმა მაქსიმუმ მოთხოვნილებათა შემდეგ კომპრომისი გამონახონ.

ლონდონი. დილით რეშიდ-ფაშის თავმჯდომარეობით დაიწყო სამშვიდობო კონფერენციის სხდომა. ოსმალეთის დელეგატებმა თავისი წინადადებები წარადგინეს.

ლონდონი. რეიტერის ცნობებით, მოსალოდნელია ბალკანეთის სახელმწიფოებმა გადასცენ ოსმალეთს ულტიმატუმი, თუ უკანასკნელნი დათმობის გზას არ დაადგებიან.

ლონდონი. ნოვაკოვიჩს უთქვამს სააგენტოს კორესპონდენტისათვის: მოკავშირეებმა უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, მოლაპარაკება იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ მოლაპარაკებას საფუძვლად დაედება მაკედონიის ავტონომია და რეფორმებიო. ნოვაკოვიჩის აზრით, მოლაპარაკება გასტანს იანვრის დამლევამდე. რეიტერის ცნობით, ოსმალეთის დელეგატნი კვლავ მაკედონიის ავტონომიას ემყარებიან, როგორც ერთად-ერთ კანონიერ დათმობას. საბუთად მოჰყავთ დიდ სახელმწიფოთა აზრი ტერიტორიის ხელშეუხებლობაზე. დელეგატები გაკვირვებულნი არიან, როგორ თხოულობენ მოკავშირენი დაუპყრობელ ადგილების დათმობასო. ოსმალეთში ისეთი მთავრობა არ მოიძებნება, რომ ზავის გულისთვის ადრიანოპოლზე ხელი აიღოსო.

სოფია. „მირი" სწერს: ბალკანეთის კავშირის პირობები გადაჭრილია. გულდამშვიდებით ველით ხვალინდელ დღეს, როცა ოსმალები თავიანთ პირობებს წამოაყენებენო. ოსმალებს საკმაო დრო ჰქონდათ, მოესაზრათ—რას მოიგებდნენ ისინი ამ პირობების მიღებით. სინანული გვიან-ღა იქნება, როგორც გვიან იყო სინანული იმათი კერპობის გამო.

ბელგრადი. კონფერენციის მუშაობის განახლების გამო „სამოუპრავა" სწერს: ოსმალეთის ინტერესები მოითხოვს დასთანხმდეს ოსმალეთი ბალკანეთის სახელმწიფოების პირობებს. მეგობრული თანხმობა მისცემს შეძლებას ოსმალეთს ჩაერიცხოს ბალკანეთის კავშირშიო, რაც უზრუნველჰყოფს მის მომავალ კეთილდღეობასო.

ათინა. ოსმალეთის ჯარმა დასწვა სკუტარის ტბის პირად-[illegible] ისტორიული მონასტერი დურახანი. ოსმალელთა და ალბანელთა რაზმებმა შეურაცხჰყვეს ზაგორში ეკლესიები. დააქციეს სახლები, მარგილზე ჩამოაგეს მღვდელი, ყელი გამოსჭრეს ორ პატივცემულ მოქალაქეს.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრი ებაასა „იკადამას" კორესპონდენტს მინისტრს უთქვამს, რომ ქიამილ-ფაშის თანამდებობიდან გადადგომა მოგონილიაო. კაბინეტი ზავის საკითხში ერთი აზრისაა. რეშიდ-ფაშა დარწმუნებულია ადრიანოპოლის საკითხის გადაწყვეტა მოხერხდებაო.

შეტაკება.

უსკიუბი. სოფელ დაჩის მახლობლად, სკუტარის და ალესიოს შუა სერბიელებმა დაჰკარგეს 7 ოფიცერი და 200 ჯარის კაცი. ოსმალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

15—16 დეკემბერი.

ბუხარესტი. მეფის საპასუხოდ სენატმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება მშვიდობის მოყვარე პოლიტიკის წარმოების გამო, რომელმაც დიდ სახელმწიფოთა ნდობა და მეგობრობა გამოიწვია.

ოპოზიციამ კამათში მონაწილეობა არ მიიღო დიდ მნიშვნელოვან საკითხის გამო. ლიბერალების ლიდერმა ბრატიანომ სთქვა, რომ მისი პარტია ეცდება თავი დაახწიოს იმ გარემოებას, რასაც კი შეუძლიან უხერხულობაში ჩააგდოს მთავრობა. ქვეყნის ვალია უზრუნველ ჰყოს რუმინელთა ეროვნება ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

ვენა. 6 დეკემბერს პალატამ განიხილა 1913 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა. ფინანსთა მინისტრმა ზალესკიმ სთქვა: ხმები ვითომც ავსტრიის ეკონომიური მდგომარეობა უკან არის დაწეული ბალკანეთის ომის გამოო, სიმართლეს მოკლებულია. იგი ჯერაც მტკიცე ნიადაგზეა. პოლონელების ეკონომიური კრიზისებიც სწრაფად განიკურნებიან, პოლიტიკურ ჰორიზონზე შეჯგუფებული ღრუბლები იფანტება. სახელმწიფოს წარმატებისთვის საჭიროა არა მარტო გარეგანი სიმშვიდე, არამედ შინაგანიც. პალატამ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა. სხდომები შეწყვეტილია იანვრის ნახევრამდე.

გაზეთებიდან.

სადღესასწაულო განწყობილება.

ვენა. გაზეთების საშობაო ნომრები სავსეა მშვიდობიანი ხასიათის წერილებით. „ნეიე ფრ. პრესე"-ც კი სერბიის შერიგების საჭიროებას აღნიშნავს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

15—16 დეკემბერი.

ბანკიპური. საეროვნო კონგრესმა დაადგინა მოითხოვოს ინდოეთის ავტონომია.

ლონდონი. ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა დაადგინა გაუთანასწორდნენ უფლებით ინდოელები სამოქალაქო სამსახურში ევროპიელებს.

ტოკიო. ქვედა და ზედა პალატის დელეგატებმა უარჰყვეს მთავრობის წინადადება, გადაიდოს პარლამენტის სხდომები თებერვლამდის. დელეგატები ენერგიულად მოითხოვენ პარლამენტის სხდომები განახლებული იყოს ახალ წლის დღესასწაულის შემდეგ. თუ პალატა მიიღებს დელეგატების გადაწყვეტილებას, მთავრობას მოუხდება ძველი კაბინეთის შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა მიიღოს, ან პარლამენტის სხდომები ხელმწიფის ბრძანებით გადასდოს.

რუსეთი.

მაკაროვის თანამდებობიდან გადადგომა.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანებით ტაინი სოვეტნიკი, შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი, ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან გადაყენებულია.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგედ დაინიშნა ჩერნიგოვის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მაკლაკოვი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრ მაკაროვს გამოუცხადეს უმაღლესი მადლობა ერთგულ სამსახურისთვის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაში.

პეტერბურგი. სამხედრო აკადემიის უფროსი შჩერბაჩოვი დაინიშნა მეცხრე კორპუსის უფროსად.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ვალერიან გუნიას ბენეფისი. ხუთშაბათს, 20 ქრისტეშობისთვეს, ქართულს თეატრში ვალერიან ლევანის ძე გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაღედია „მეფე ლირი“ თარგმანი ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლისა. „მეფე ლირი“ პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იყო ამ ოცდა ათი წლის წინედ. მას შემდეგ რამდენჯერმე კოტე ყიფიანმა ითამაშა. მეფე ლირის როლი უკანასკნელად ამ ათი თუ თორმეტი წლის წინედ იყო წარმოდგენილი.

პიესას ეხლა სდგამენ ახალის მიზანსცენებით ახალს დეკორაციებსა და ტანისამოსებით. მთავარი როლები განაწილებულია დასის ახალგაზრდა და ნიჭიერ მსახიობთა შორის. ძველ მსახიობთაგან მარტო კოტე მესხი თამაშობს მასხარას როლს. პიესას რეჟისორობს ბ-ნი შალიკაშვილი.

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 16 ქრისტეშობისთვეს, ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ტრ. რამიშვილის „მეზობლები“.

ბ. გოგაშვილი (მენაბდ.) სავსებით ვერა ჰხატავდა ამ ტიპს, თუმცა მისი მოქმედება ზოგიერთ ალაგას საფუძვლიანი იყო.

სხვა მოქმედთა შორის მშვენივრად ასრულებდნენ როლებს: ქ-ნნი თ. ყიფშიძე (ოლინკა—ილიკოს ძმისწული), გოგაშვილისა (ილიკოს დედა), ბ-ნნი მელიქიშვილი (ირაკლი მარშანიძე) და გიორგაძე (სოსიკო-გიმნაზისტი).

ქ. ქაჯაია (ტასო—ირაკლის და) და ბ. გალუსტოვი (ინჟინერი გელოვანიძე(პირველად გამოვიდნენ სცენაზე. პირველს ეტყობა სასცენო უნარი, ჰეორე კი ცოტა სუსტობდა.

გრუშნევსკის როლი თითქმის უნაკლულოდ შეასრულა ბ. სვანაძემ. არაუშავდათ რა ქ. ამირანაშვილს (კნ. კატო), ბ.ბ. კუდუხაშვილს (ექიმი ფონ ბილლერი) და ომიანიძეს (ლუკა სუთიძე). ქ. გოგაშვილისა კნ. თამარის როლში სუსტობდა. მეოთხე მოქმედებაში, ერთმა ილიკოსთან მოყოლილ სტუდენტთაგანმა, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომლის შინაარსი გაუგებარი იყო. პიესაში ამისთანა არა არის რა.

მიშო.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ქურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. 6 ს. 26 წ. **ჩქარი № 2,** დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4,** ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ. № 6,** ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106,** სად. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ. № 5,** ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. 50 წ. **სახ. № 4,** სად. 9 ს. 4 წ. **სახ. № 11,** ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, სად. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, სად. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 б, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 5,** ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. **ჩქარ. №** , სად. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ. № 7,** დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ. № 4,** ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ. № 6,** სად. 5 ს. 56 წ. **ნარევ. № 106,** დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8;7, დილ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 б, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვ-დან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ № 63,** დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ № 65,** ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ. № 67,** ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ. № 69,** სად. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ № 71,** სად. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ. № 62,** დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 64,** დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ. № 66,** ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ. № 68,** სად. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 70,** სად. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ. № 79,** დილ. 10 ს. 14 წ. **სახ. 1,** ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ. № 83,** ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ. № 85,** ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ. № 78,** დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ. № 80,** ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. 82,** სად. 6 ს. 55 წ. **სახ № 84,** ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ. № 4 п,** დილ. 11 ს. 9 წ. **სახ. № 6,** სად. 5 ს. 1 წ. **სახ. № 8 п,** საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ. № 7 п.** სად 7 ს. 24 წ. **სახ. № 5 п,** სად. 7 ს. 59 წ. **სახ. № 25 г** ნაშ. ს. 8 წ.

ბათ ომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ. № 14,** დილ. 5 ს. 43 წ. **საფ. № 16,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ. № 15,** ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ. № 17,** ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ. № 14,** დილ. 5 ს. 43 წ. **სახ. № 16,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 65,** სად. 9 ს. 14 წ. **სახ. № 86,** დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ. № 55,** დილ. 5 ს. 58 წ. **სახ. № 76,** ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოხიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჩანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

15 ოქტომბრიდან,

შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„**ვაჭრობა-ნავოსნობის**“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკეობ**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ., შაბათ.,** ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ესიდან პ ი რ დ ა პ ი რ ი, **ხაფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.,** სად. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.,** სად. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ., პარ.** სად. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.,** სად. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„**კავკაზი და მერკური**“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე სად. 4 ს. 40 წ.

ენზელს პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

რასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

განცხადებანი

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებანი

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ „წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუხრანის კერძო

სამკურნალო

საწოლი კრაოტებით.

19 თეძერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ:		დილით:
შინაგანი სნეულებანი და [illegible]	სპექტიორი გ. მ.	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა.	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო.	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ.	12½—1½ ს.
სადოსტაქრო ქირ. სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
საშარდე და [illegible] სნეულ.	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
სნეულებ. საშვილოს. და [illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ზ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე	12½—1½ ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა.	12—12½ ს.
[illegible] და კანის სნეულებ.	შაპელნიკოვი ზ. ი.	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ექიმი

კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა № 3. ს. ბაბა წერელისა.

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 1

ქირავდება სახლი

1, 2 და 3 ოთახიანი

ავეჯით და უავეჯოთ, სახელმწიფო ბანკის გასწვრივ, ბარონის ქუჩა № 14. 874

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვისა ქუჩის კიმში, № 34, ფელდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე 2 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ჰყაახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს.-მდე). მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 2037.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„**606**“—**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. ზურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელქიშანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.

683.

23 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.

1) კაცის ლამაზი, მკვიდრი ჯიბის საათი „**ანკერი**“ (ცილინდრი არ არის), ამერიკული ფოლადისა, 15 ქვითა, და „**ხრონომეტრით**“ იმართება 36 საათში ერთხელ. შემოწმებულია ზედ-მიწევნით. ეროს წუთამდე 8 წლის თავდებობა. 2) ორ-რიგიანი ლამაზი ძეწკვი. 3) ბრელოკი — კინემატოგრაფი საინტერესო სანახაობით ან კომპასი. 4) ზამშის ბუდე საათისათვის, რომ ლსაც გაფუჭებისაგან იფარავს. 5) მშვენიერი ბეჭედი „**დუბლე**“ პარიზულ ქვებით. 6—9) ჯიბის სატუალეტო ნესესერი ოთხი საინტერესო ნივთით. 10) საათის და აცველი ქურდებისაგან. 11) პარიზული „პლასტოგრაფი“, რომელიც ყოველნაირ სანახაობას აჩვენებს, 12—17) ამისათვის 6 მეტად საინტერესო სურათი. 18) ჯიბის ნიკელის საწერი მოწყობილება. 19) ლამაზი დავერცხლილი საწუმწუმე. 20) ინგლისის ფოლადისაგან გაკეთებული ჯიბის და საკეცი მაკრატელი. 21) საოჯახო სტამბა 100-მდე ასოთი და ციფრით თვით საბეჭდავად. 22) სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23) ახალი მოდის ტყავის პორტმანი 6 განყოფილებით; ძალიან პტყელია და ჯიბეში ადვილი სატარებელი. ფასი მთელი გარნიტურისა **3 მ. 45 კ.** ორი გარნიტურისა—**6 მ. 45 კ.** ფასი ამ ერთივე გარნიტურისა უმაღლეს ხარისხის ნივთებით პრტყელი საათით **4 მ. 45 კ.** ფასი ორი გარნიტურისა **8 მ. 45 კ.** დახურული საათი ან ქალის საათი ყველა თავისი მოწყობილობით 1 მ. მეტი. გადაგზავნა **40 კ.**, ციმბირში **75 კ.** ფასდადებით იგზავნება უბეოდ. უფასოდ 8 მანეთად ღირებული საინტერესო პრემია.

ადრესი: Т-во „Патентъ“, варшава, Св. Креста № 48, отд. 73.

Метцль. 61378. 1594

☛ სორაპანის გამოცემა ☚

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „**კედლის კალენდარი 1913 წ.**“, **შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.** კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათებით, შეკრულია თუნუქით, კარდონი დაბეჭდილია 4 ფერი საღებავით. იყიდება ყველგან. ფასი 40 კაპ.—დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ აგრეთვე „**სახალხო კალენდარი**“ **1913 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.** კალენდარი დასურათებულია აუარებელი სურათებით. ფასი 20 კ.—გამყიდველებს %% დაეთმობათ. ა დ რ ე ს ი: ტფილისი. სტამბა „სორა პანი“. 849

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

მ ა ღ ა ზ ი ა ოქროსი, ვერცხლისა, მელხიორისა და ოპტიურ ნივთიერების—საათებისა

ა. ნ. გოლდშტეინისა

გირჩევთ შეიძინოთ მეტის მეტად იაფფასად ყოველგვარი საათები, ოქროსი, ვერცხლისა და მელხიორის ნივთები. ვკისრულობთ საათებისა და ყოველგვარ ოქროს ნივთეულის დამზადება და შეკეთებას, აგრეთვე მონოგრამ. და წარწერების გაკეთებას. 872.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„ბ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აზრაპიანის

საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა დ სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა დ ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა,

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა

პარიზული მაღაზია

ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

საგანგებოდ **დღესასწაულებისათვის**

განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ა ხ ა ლ - ა ხ ა ლ ი

შეკერილი ტანისამოსი,

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

ხელმისაწვდომ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

ფასები შეუვაჭრებლად.

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

ტელეფონი № 258. 1525